ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის
N15 ბინაზე, მოქალაქე არსენ ნოზაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე არსენ ნოზაძის განცხადება /2011 წლის 21.11 N6–9057/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის N15 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ,,კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის N15 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე არსენ ნოზაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის N15 ბინაზე /საერთო ფართობი 52,34 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 18,10 კვ.მ, დამხმარე ფართობი 30,56 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 1,84 კვ.მ. და 1,84 კვ.მ./ მოქალაქე არსენ ნოზაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი　　　　　　　　　　　　　　　　　　გ.თევდორაძე